პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 235 (19676) ◆ კვირა, 12 ოქტომბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ქვეყნად სიცოცხლისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის შეხვედრა, რომელიც 11 ოქტომბერს გაიხსნა ისლანდიის დედაქალაქში, პლანეტის ყველა ადამიანის ყურადღების ცენტრშია. საჭართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა, იმედით ელიან ცნობებს რეიკავიკიდან, სწამთ, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრას მოჰყვება გამალებული შეიარაღების შეკვეცა, იმ მორიგებათა მიღწევა, რომლებიც შექმნიან ყველასათვის საერთაშორისო უშიროების სისტემას.

მსოფლიოს სჭირდება მშვიდობა

და აი დადგა დღე, რომელსაც ასე დიდხანს ველოდით, ელოდა მთელი პროგრესული კაცობრიობა. დღეს რეიკავიკში დაიწყო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი ხელმძღვანელების მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის შეხვედრა, რომლის დროსაც განიხილავენ თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის გამალებული შეიარაღების ალაგმვა, განიარაღება და თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილება.

ჩვენს ქარხანაში ყველანი დიდი მოელვარებით მოველით ამ შეხვედრის შედეგებს. ეს გასაგებიცაა. ატომურ ომში ხომ არ შეიძლება იყვნენ გამარჯვებულნი. ორი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრის წინ შეეძინა ქალიშვილი. ქარხნის მთელმა კოლექტივმა მომილოცა ბავშვის შეძენა. პირველი, რაც მითხრეს, ეს იყო სიტყვები იმის შესახებ, რომ მშვიდობიანი ცა დაპყურებდეს მას, რომ არ იცოდეს ომის საშინელებანი. ვფიქრობ, რომ ასეთია ყველა დედისა და მამის სურვილი, სადაც უნდა ცხოვრობდნენ ისინი.

გვსურს, რომ ჩვენი ბავშვები ჩვენზე უკეთ ცხოვრობდნენ, იყვნენ ჩვენზე უფრო ბედნიერნი. და გვწამს, რომ ამ სურვილების განხორციელების გასაღებია რეიკავიკის მოლაპარაკება. მოლაპარაკებიდან ქმედითი ღონისძიებებისაკენ ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და მსოფლიოში ვითარების გაუმჯობესების გზით — ასეთია მთელი ჩვენი კოლექტივის, მთელი მუშათა კლასის მოთხოვნა.

ამირან გელაშვილი,
თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობი-ზეინკალი.

გვნამს და ვიმედოვნებთ

ამ დღეებში ყველა კეთილი ნების ადამიანის მზერა მიპყრობილია ისლანდიის დედაქალაქის — რეიკიავიკისაკენ. თითოეულ ჩვენგან სურს სწამდეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის შეხვედრა [illegible] კონსტრუქციული. სწამდეს, რომ ამერიკის ადმინისტრაცია ბოლოს და ბოლოს უპასუხებს საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს და შეუერთდება ცალმხრივ ბირთვულ მორატორიუმს, რომელსაც უკვე ერთი წელია ახანგრძლივებს სსრ კავშირი.

საბჭოთა კავშირი მომძე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად აზორციელებს მშვიდობის, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების მტკიცე პოლიტიკას. დაუცხრომლად გრძელდება სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთა კონსტრუქციული თანამშრომლობის გზების, შეიარაღების შემცირების, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების შესაძლებლობათა ძიება.

ჩვენ, მშვიდობიანი მშენებლობით დასაქმებულებს, შესანიშნავად გვესმის, რა შეიძლება მოუვიდეს ჩვენი შრომის ნაყოფს, ადამიანის სიცოცხლეს ატომური ომის შემთხვევაში. აი, რატომ არის, რომ დღეს თითოეული ჩვენგანი კვლავ წუხს კაცობრიობის ბედის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავლის გამო, განსაკუთრებული იმედით მოელის ცნობებს ისლანდიიდან, ფიქრობს უმაღლესი დონის შეხვედრის სასიკეთო დასასრულზე.

არსენ ღოლიჯაშვილი,
გორის რაიონის ბერბუკის სახელობის მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი. (საქინფორმი).

შეხვედრა რეიკიავიკში

რეიკიავიკი. 11 ოქტომბერი. (საკადესის სპეც. კორ.) დღეს რეიკიავიკში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის შეხვედრა. იგი ეწყობა გასული წლის ნოემბერში ჟენევაში მიღწეული მორიგების მიხედვით შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის ვიზიტისათვის მზადების ფარგლებში.

13 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა დელეგაციის ავტომანქანები მივიდნენ ატლანტის ოკეანის ნაპირზე მდებარე ჰვიდის ორსართულიან სახლთან. საოქმო მორიგების შესაბამისად, სახლის შესასვლელთან მ. ს. გორბაჩოვს დახვდა რ. რეიგანი. რამდენიმე წუთი ფოტო და სატელევიზიო კამერების ობიექტივების წინაშე — და ორი ქვეყნის ხელმძღვანელები შევიდნენ მოლაპარაკებისათვის საგანგებოდ გამოყოფილ ოთახში.

აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მოლაპარაკებას კონფიდენციალური ხასიათი აქვს და მის შედეგებს აცნობებენ ისე, როგორც ორი ქვეყნის ხელმძღვანელები დათქვამენ. მაგრამ საკითხები, რომლებსაც ახლა იხილავენ ჰვიდის სახლში, დიდად აინტერესებთ არა მარტო 2500-ზე მეტ ჟურნალისტს, არამედ ყველა ქვეყნის ხალხებს. სწორედ ამიტომ ჩამოვიდნენ ისლანდიის დედაქალაქში შეხვედრის წინ მშვიდობის მომხრეთა სხვადასხვა ორგანიზაციის დელეგაციები — ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დასავლეთ ევროპის მეელი რიგი ქვეყნებიდან.

სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა და შეხედულების მიუხედავად, ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებს აერთიანებთ საერთო წუხილი პლანეტის ბედისათვის, იმის მისწრაფება, რომ კაცობრიობას თავიდან აიცილონ ბირთვული უფსკრულისაკენ დაქანება. ისინი ორი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს მოუწოდებენ იღონონ რამე, რათა შეანელონ, აღკვეთონ ბირთვული ომის საფრთხე.

ამასთან დაკავშირებით მსოფლიო საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმა საბჭოთა კავშირის კონკრეტულ წვლილს ამ პროცესში და უწინარეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის მიერ გამოცხადებულ ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივ მორატორიუმს. აქ ჩამოსულმა ამერიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციების — ბირთვული შეიარაღების გაყინვის ეროვნული კამპანიისა და გონივრული ბირთვული პოლიტიკის მომხრე კომიტეტის დელეგაციამ ჩამოიტანა წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, რომელიც მტკიცედ მოუწოდებს ადმინისტრაციას, ბოლოს და ბოლოს, შეწყვიტოს ბირთვული იარაღის გამოცდები და შეუერთდეს საბჭოთა მორატორიუმს. ბირთვულ პოლიგონებზე სიმყუდროვე უნდა იყოს უმაღლესი დონის მომდევნო შეხვედრამდე, ნათქვამია ამ დოკუმენტში, რომელსაც, კერძოდ, ხელი მოაწერა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის 60 წევრმა, მომავალში კი უნდა დაიდოს ბირთვული იარაღის გამოცდების სრული და საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულება.

დღეს რეიკიავიკის პორტის რეიდზე ღუზა ჩაუშვა „სირიუსმა" — გარემოს დამცველთა საერთაშორისო ორგანიზაციის „გრინპისის" ხომალდმა. პრესისათვის გავრცელებულ განცხადებაში მისმა წარმომადგენლებმა ორი ქვეყნის ხელმძღვანელებს მოუწოდეს უყურებდნენ სერიოზულად იმსჯელონ საარსებო მნიშვნელობის პრობლემებზე და, უწინარეს ყოვლისა, მოილაპარაკონ ბირთვული გამოცდების აკრძალვის შესახებ. თუ მოხერხდება ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტა, ხაზგასმულია დოკუმენტში, ეს შესაძლებელს გახდის „ვარსკვლავთის ომების" პროგრამის შეჩერებას, რომლის რეალიზაცია გამოიწვევს შეტევითი თუ თავდაცვითი იარაღის სისტემების ფართო ესკალაციას კოსმოსში და დედამიწაზე.

„გრინპისი" განცხადებაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი ცალმხრივი წესით არ აწყობს ბირთვულ გამოცდებს 1985 წლის აგვისტოდან, და ახლა არის იმის მიღწევის ისტორიული შანსი, რომ ამერიკის ბირთვულ პოლიგონებზეც გამეფდეს სიჩუმე. ეს ფაქტი, ნათქვამია განცხადებაში, არ უნდა გადაიქცეს შეხვედრად შეხვედრის გულისთვის.

ჩირაღდნებმა გაანათეს წუხელ რეიკიავიკის პატარა ქუჩა, რომელზეც ამერიკის საელჩო დგას. აქ ისლანდიის მშვიდობის მომხრეთა სხვადასხვა ორგანიზაციის ინიციატივით გაიმართა მანიფესტაცია, რომლის მონაწილეებმა პროტესტი განაცხადეს კონფრონტაციის, ომის საფრთხისა და ავანტიურების პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებს ნიკარაგუისა და სხვა დამოუკიდებელი ქვეყნების მიმართ. მათ სალეჩოს გადასცეს პეტიცია, რომელიც გულისწყრომით გმობს ნიკარაგუელი ხალხის საწინააღმდეგო აგრესიას. ამასთან ერთად მანიფესტანტებმა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას მოსთხოვეს გამოავლინოს მშვიდობისადმი გულწრფელი სწრაფვა ისლანდიის დედაქალაქში უმაღლესი დონის შეხვედრის დროს. საკადესის კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში საკავადორთან სოლიდარობის ისლანდიის კომიტეტის ერთერთმა ხელმძღვანელმა რაგნარ სტეფენსონმა განაცხადა: ჩვენ მივესალმებით გამალებული, უწინარეს ყოვლისა ბირთვული შეიარაღების ასალგამავად გამიზნულ ყველა წინადადებასა და ღონისძიებას. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საბჭოთა კავშირის მიერ გამოცხადებული ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი.

ისლანდიელ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობამ — „საამბენერო ბაზების საწინააღმდეგო კამპანიამ" — გამოაქვეყნა მიმართვა, რომლითაც მოითხოვს ძალ-ღონე არ დაიშურონ გამალებული შეიარაღების შესაწყვეტად და ბირთვული საფრთხისაგან პლანეტის ხსნისათვის. მშვიდობის მებრძოლნი მხარს უჭერენ ისლანდიაში ნატოს დიდი საამბენერო ბაზის ლიკვიდაციას, წინადადებას ჩრდილოეთ ევროპაში უბირთვო ზონის შექმნის შესახებ.

დღეს შუადღისას, დედაქალაქის ცენტრში, ტიერნინის ტბის ნაპირას პარკში მოვიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით ორგანიზებული მშვიდობის პირველი მსოფლიო გადარბენის მონაწილენი. გადარბენა მიმდინარეობს დევიზით „მეცით მსოფლიოს შანსი — ბავშვებს მშვიდობა სჭიდებათ".

ნ. ვუკოლოვი,
ნ. ტურკატენკო,
ვ. ჩუქსევევი,
გ. ფიშკინი.

მეგობრული საუბარი

რეიკიავიკი, 10 ოქტომბერი. (საკადესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი ისლანდიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვ. ფინბოგადოტირს ეწვია.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, გაიმართა აზრთა გაზიარება ბირთვული ომის საფრთხესთან დაკავშირებულ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. ორივე მხარემ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ისლანდიის ურთიერთობა დამაკმაყოფილებლად ვითარდება ხელსაყრელ საფუძველზე.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, ისლანდიის პრემიერ-მინისტრი ს. ჰერმანსონი და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. მატიესენი.

განვამტკიცოთ ერთიანი ფრონტი

პროგლედმათა ფართო სპექტრი, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის მშრომელთა წინაშე დგება პლანეტის მშვიდობიანი მომავლისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით, განიხილეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „მუშათა კლასი და თანამედროვეობა", რომელიც 10 ოქტომბერს დამთავრდა მოსკოვში. დისკუსიაში მონაწილეობდნენ მუშათა მოძრაობის, კომუნისტური და მუშათა, რევოლუციურ-დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტიების, სხვადასხვა ორიენტაციის პროფკავშირებისა და სხვა ორგანიზაციების და მასობრივი მოძრაობების თვალსაჩინო მოღვაწენი. მოსკოვის შეხვედრამ, რომელიც მუშათა კლასის ცხოვრებისა და ბრძოლის დღევანდელ რეალობებს მიეძღვნა, მსოფლიოს ოთხმოცამდე ქვეყნის ასზე მეტი სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები შეკრიბა.

კონფერენციის მუშაობის ბოლო დღეს განაგრძეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის უახლესი ტენდენციებისა და პერსპექტივების, მისი სოციალური შედეგების განხილვა, იმსჯელეს მილიტარიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლის საკითხებზე, მუშათა კლასის როლზე განთავისუფლებულ ქვეყნებში განვითარების პრობლემების გადაჭრაში.

თანამედროვე პირობებში მილიტარიზმი და გამალებული შეიარაღება სოციალიზმის სამყაროს, რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი იარაღია. კაპიტალის ქვეყნებში გამალებული შეიარაღების ზრდის კვალობაზე გივანტური რესურსები აკლდება სამოქალაქო საჭიროებებს. ამის ახალი დამაჯერებელი დადასტურებანი მოიყვანეს სექციური სხდომის — „მუშათა კლასის მასობრივ მოძრაობთა ტენდენციები, ბრძოლა მილიტარიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ" — მონაწილეებმა.

გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში გრძელდება „არაპერსპექტიული" დარგებში და ახალ, უფრო პერსპექტიულ დარგებში დასაქმებულ დაქირავებულ მუშათა ცხოვრების დონეში განსხვავების გაღრმავების პროცესი. კაპიტალი ცდილობს ეს გარემოება გამოიყენოს მუშათა კლასის ერთი რაზმის მეორესთან დაპირისპირებისათვის.

„მუშათა კლასისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის" სექციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მათ წინაშე მწვავე პრობლემები აღძრა. და მათ შორის მთავარია როგორ წარმართოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები ადამიანთა საკეთილდღეოდ.

„მუშათა კლასისა და განვითარების" სექციის სხდომაზე განიხილეს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში მუშათა კლასისა და მუშათა მოძრაობის პრობლემები.

პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების ზრდის წინააღმდეგ გაფორებით იბრძვიან მსოფლიო იმპერიალიზმი, ადგილობრივი ბურჟუაზია. ბევრმა ორატორმა აღნიშნა საბჭოთა მუშათა კლასის უდიდესი ინტერნაციონალისტური როლი განვითარებად ქვეყნებში მუშათა პოლიტიკურ წრთობასა და პროფესიულ ზრდაში. აღინიშნა, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია საბჭოეთისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების სოლიდარობა იმ ხალხებისადმი, რომლებიც იბრძვიან ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მუდმივი მუქარის ძნელ პირობებში.

ბევრმა ორატორმა მხურვალედ დაუჭირა მხარი უკანასკნელი წლების საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს, გულწრფელი კმაყოფილება გამოთქვა თერმობირთვული ომის საფრთხის წინაშე საბჭოთა კავშირის პასუხისმგებლური პოზიციის გამო, დიდი იმედები დაამყარა მსოფლიოში დაძაბულობის შენელების საქმეში საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრაზე.

თანამედროვე მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფორუმი დამთავრდა. მისი მონაწილეების აზრი მოსკოვის შეხვედრის შედეგებზე ერთსულოვანია: მთელი მსოფლიოს მშრომელთა ცხოვრებისა და ბრძოლის რეალობანი, ბირთვული საუკუნის რეალობანი დღეს მოითხოვს მთელი პროგრესული ძალების სოლიდარობის განმტკიცებას, ერთიანი დემოკრატიული ფრონტის შექმნას მთელ პლანეტაზე მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

(საკადესი).

ზამთარი მკაცრად მოგვკითხავს

წლევანდელი შემოდგომა-ზამთრის პერიოდი დაძაბული ენერგეტიკული ბალანსის პირობებში მიმდინარეობს. ამიტომ ოდნავი მოდუნებაც კი არ შეიძლება, აღინიშნა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა გადაწყვეტის ოპერატიული ჯგუფის სხდომაზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა.

შესაბამისი ინსპექციების მიერ მოწყობილი ზამთრისათვის მზადყოფნის შემოწმებები ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ ყველგან როდი ეკიდებიან სათანადო ყურადღებით სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის პრობლემას. მაგალითად, გამოვლინდა ნაკლოვანებები თბილისის მეტროპოლიტენის საქვაბეების და საინსტრუმენტო ქარხნის მუშაობაში.

ოპერატიული ჯგუფის სხდომაზე აღინიშნა, რომ თბილისში დაძლეულია თბოქსელების რემონტისა და გაყვანის ჩამორჩენა. გათბობის სისტემები, წყალგაყვანილობის ქსელები, სხვა სამსახურები, რომლებიც ქალაქებს სინათლით და სითბოთი უზრუნველყოფენ, ზამთარში ზუსტად და რიტმულად იმუშავებენ.

სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მთის რაიონების მცხოვრებთა უზრუნველყოფას შეშით, ქვანახშირით, ნავთით, გათხევადებული გაზით. გაზის გამოკლებით, რომელიც ამ მხარეებში უკვე საკმაო რაოდენობით შეიტანეს, სხვა სათბობით მომარაგების საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. ვაჭრობის სამმართველოსა და ცეკავშირის მითითება მიეცათ, რომ მეტი ინიციატივა და დაინტერესება გამოიჩინონ ამ საქმეში.

სხდომამ დასახა ამ და სხვა საკითხების უსწრაფესი გადაწყვეტის კონკრეტული ღონისძიებანი, რათა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა კარგად მოემზადოს ზამთრის პირობებში მუშაობისათვის. (საქინფორმი).

ჟურნალისტთა თათბირი

10 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა რესპუბლიკური თეორიული და პოლიტიკური პარტიული ჟურნალების მთავარი რედაქტორების თათბირი, რომელზეც განხილეს ჟურნალ „კომუნისტის" შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისათვის პარტიული ჟურნალისტიკის ამოცანების საკითხი. აზრთა გაზიარების დროს გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, „კომუნისტის" მთავარი რედაქტორი ი. ტ. ფროლოვი, შეხვედრის სხვა მონაწილენი, რომლებმაც დამსწრეთ გააცნეს მუშაობის გამოცდილება, შეთანხმდნენ აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში თანამშრომლობის ახალი ფორმების თაობაზე.

თათბირში აგრეთვე მონაწილეობდნენ ჟურნალების „პარტიინაია ჟიზნის", „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიეს", „კომუნისტ ვოორუჟენიხ სილისა" და „მოლოდოი კომუნისტის" წარმომადგენლები.

(საკადესი).

სურათზე: შეხვედრის წინ.
საკადესის სპეციალური კორესპონდენტების ი. ლიზუნოვისა და ა. ჩუმიჩევის ტელეფოტო.
(საკადესის ფოტოქრონიკა).

შრომითი ძრწნიკა — „კომუნისტისა" და საქინფორმის კორესპონდენტები მეგობარ ფოტოგრაფებთან

ნაღენჯიხა: წლის დავალება შესრულდა

მოკრეფილია 34.700 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, სეზონის დამთავრებამდე დამატებით დამზადდება 3.000 ტონა. ასეთია რაიონის მშრომელთა ვალდებულება.

ნაღენჯიხის რაიონის მეჩაიეებმა და მექანიზატორებმა, რომლებიც რესპუბლიკის სოციალისტური შეჯიბრების არაერთგზის გამარჯვებულები არიან, წლეულსაც წარმატება მოიპოვეს. 8 ოქტომბერს სამშობლოს უპატაჟეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება — დამზადებულია 34.700 ტონაზე მეტი ნედლეული.

— ეს წარმატება განაპირობა ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა დროზე შესრულებისათვის რაიონის მშრომელთა დასაჯაზმად პარტიული ორგანიზაციების მონდომებულმა მუშაობამ. ახალი რეზერვების, ინტენსიური მეთოდების გამოყენებამ, — თქვა საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის მეორე მდივანმა მელორ ზარქუამ. — მართლაც წლეული რაიონში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მექანიზაციის ეფექტიან გამოყენებას. თუ 1980 წელს მექანიზმებით მოიკრიფა სულ-ერთოდ დამზადებული ფოთლის 15,5 პროცენტი, წლეულს — 32 პროცენტს მიაღწია. ამის შედეგად ცენტნერი ჩაის ფოთლის თვითღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ მხრივ რაიონში დიდი ხვედრითი წილი აქვს წალენჯიხის შრომის წითელი დროშის ორდენოსან ჩაის მეურნეობა-კომბინატს (დირექტორი — სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი, ლენინის ორდენოსანი ვ. ჭანტურია), რომელმაც პირველი ოქტომბრისათვის შეასრულა წლიური დავალება.

— სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატმა ა. სახოკიამ თქვა, მან თანამოსაქმე მექანიზატორებთან ერთად, როგორც ყოველთვის, წლეულსაც დიდი გადამეტებით შეასრულა წლიური გეგმა-ვალდებულება და ახლა გადიდებული ვალდებულების ანგარიშში შრომობს.

წარმატებით დაამთავრეს რა სიმინდისა და სუდანურას აღება ყოფილ მიგდებულ მიწებზე, ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა იმავე ფართობებზე რაფსისა და ტურნეფსის თესვა დაიწყეს. ამ ძვირფასმა საკვებმა კულტურებმა კარგად იხარა ადგილობრივ პირობებში და საშუალოდ ჰექტარზე ორას ცენტნერზე მეტ მწვანე მასას იძლევა.

— მათი მთავარი ღირსება ის არის, — აღნიშნა რაიონული აგროსამმართველო გაერთიანების თავმჯდომარემ ა. ბაბტაძემ, — რომ შესაძლებლობას გვაძლევენ გავაფართოოთ საკვები მინდორი. უკვე იანვარ-თებერვალში მივიღებთ კარგ ვეგეტაციურ აღმონაცენს.

ადრე გაზაფხულზე რაფსისა და ტურნეფსის აღებისთანავე კოლმეურნეობა დათესავს სამარცვლე თავთავიან კულტურებს. მათი აღების შემდეგაც მიწა უქმად არ იქნება — ბოსტნეულს დათესავენ.

სწორედ ასე მოქმედებს აქ საკვები კონვეიერი. კოლმეურნეობა წელიწადში რამდენიმე მოსავალს იღებს, საკმარისად იმარაგებს საკუთარ საკვებს.

რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა საკვები ბაზის განმტკიცებისათვის მუშაობაში იყენებს განმეორებითი ნათესების უპირატესობას. მაგალითად, აბაშის, გორისა და სხვა რაიონებში მარცვლეული კულტურების შემდეგ გამოთავისუფლებულ მიწებზე საკვებ ბალახებს თესავენ. მარნეულის, ბოლნისის და გარდაბნის რაიონებში, სადაც უპირატესად საადრეო მეკარტოფილეობა ვითარდება, კარტოფილის აღების შემდეგ სასილოსე სიმინდს თესავენ, რაც საკვების საგრძნობ მატებას იძლევა.

წელს რესპუბლიკაში განმეორებით დაითესება 80 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი.

განმარტა რა სანაწვერალო და შუალედური კულტურების მნიშვნელობა საკვები ბალანსის შევსებისათვის, საქართველოს სსრ სახავრომრეწვის საკვებწარმოების სამმართველოს უფროსმა ნ. გოდაბრელიძემ თქვა:

— მეურნეობის ყველა ხელმძღვანელი როდი იყენებს ადგილობრივ პირობებს, როგორც საკვების წარმოების გადიდების რეზერვს. ეს ეხებათ, უწინარეს ყოვლისა, აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. მაგალითად, საკმარისია მცირე სარწყავი ფართობების შემდეგ გამოთავისუფლებულ მიწებზე საკვებ ბალახებს თესავენ. მარნეულის, ბოლნისის და გარდაბნის რაიონებში, სადაც უპირატესად საადრეო მეკარტოფილეობა ვითარდება, კარტოფილის აღების შემდეგ სასილოსე სიმინდს თესავენ, რაც საკვების საგრძნობ მატებას იძლევა.

ამ მანქანით შეიძლება ხახვის ორ ჰექტარზე ერთ დღეში აღება.

— უნივერსალური აგრეგატი,— თქვა გამომგონებელმა, — იღებს ხახვს, აცლის მიწას, ავსებს ხვიმირებს და ტრანსპორტიორის საშუალებით მოსავალს ავტომობილის ძარაში ტვირთავს.

მანქანა ადვილად შეიძლება მოუმარჯვო ნივრისა და სტაფილოს აღებასაც.

სამტრედიის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კურსდამთავრებულს ნ. მუზაშვილს გამოგონების ოთხი საავტორო მოწმობა აქვს.

● ● ●

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

ტურების შემდეგ გამოთავისუფლებულ მიწებზე საკვებ ბალახებს თესავენ. მარნეულის, ბოლნისის და გარდაბნის რაიონებში, სადაც უპირატესად საადრეო მეკარტოფილეობა ვითარდება, კარტოფილის აღების შემდეგ სასილოსე სიმინდს თესავენ, რაც საკვების საგრძნობ მატებას იძლევა.

წელს რესპუბლიკაში განმეორებით დაითესება 80 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი.

განმარტა რა სანაწვერალო და შუალედური კულტურების მნიშვნელობა საკვები ბალანსის შევსებისათვის, საქართველოს სსრ სახავრომრეწვის საკვებწარმოების სამმართველოს უფროსმა ნ. გოდაბრელიძემ თქვა:

— მეურნეობის ყველა ხელმძღვანელი როდი იყენებს ადგილობრივ პირობებს, როგორც საკვების წარმოების გადიდების რეზერვს. ეს ეხებათ, უწინარეს ყოვლისა, აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. მაგალითად, საკმარისია მცირე სარწყავი ფართობების შემდეგ გამოთავისუფლებულ მიწებზე საკვებ ბალახებს თესავენ. მარნეულის, ბოლნისის და გარდაბნის რაიონებში, სადაც უპირატესად საადრეო მეკარტოფილეობა ვითარდება, კარტოფილის აღების შემდეგ სასილოსე სიმინდს თესავენ, რაც საკვების საგრძნობ მატებას იძლევა.

ამ მანქანით შეიძლება ხახვის ორ ჰექტარზე ერთ დღეში აღება.

— უნივერსალური აგრეგატი,— თქვა გამომგონებელმა, — იღებს ხახვს, აცლის მიწას, ავსებს ხვიმირებს და ტრანსპორტიორის საშუალებით მოსავალს ავტომობილის ძარაში ტვირთავს.

მანქანა ადვილად შეიძლება მოუმარჯვო ნივრისა და სტაფილოს აღებასაც.

სამტრედიის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კურსდამთავრებულს ნ. მუზაშვილს გამოგონების ოთხი საავტორო მოწმობა აქვს.

● ● ●

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

ხულო. (საკ. კორ.). რაიონის მეთამბაქოეებმა, რომლებიც ჩაბმული არიან ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ შარშანდელზე გაცილებით მეტი თამბაქო. მათ 1 ოქტომბრისათვის შეტეხეს, ანემსეს და საიმედოდ დაამბინავეს 12.600 ათასი ზონარ-მეტრი თამბაქო, ეს შარშანდელზე თითქმის 300 ათასი ზონარ-მეტრით მეტია და საგეგმო დავალების 101,2 პროცენტს შეადგენს. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ხიხაძირის, ოქტომბრის, ოქრუაშვილებისა და სხვა კოლმეურნეობების მეთამბაქოეები, რომლებიც იმისათვის იბრძვიან, რომ მეორე მოსავლის არც ერთი ფოთოლი არ დაიკარგოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში წვლილისათვის და დაარსების 200 წლისთავთან დაკავშირებით თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 10 ოქტომბერი.

სიუჟეტი, პლაკატი, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძის დაბადების 200 წლისთავისათვის გამოვიდა (მხატვარი — სპარტაკ ცინცაძე).

* * *

ამ თარიღისადმი მიძღვნილი მასალა იხილეთ მესამე გვერდზე.

სსრ კავშირს ეწვევა დანიის პრემიერ-მინისტრი პოულ შლუტერი

საბჭოთა მთავრობის მოწვევით დანიის პრემიერ-მინისტრი პოულ შლუტერი სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვა ამა წლის ოქტომბრის მ

კომუნისტი
ფაქტები • მოვლენები ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს კანგარიშგება-არჩევნები

კომუნისტი პედაგოგი: ორმაგი პასუხისმგებლობა

მცირეარცხოვანია სოხუმის მე-20 საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაცია. მასში მხოლოდ 14 კომუნისტია გაერთიანებული. მიუხედავად ამისა, სკოლის ცხოვრებაში არ არის არც ერთი საინტერესო მომენტი, რამე გადასაჭრელი პრობლემა, რომლის განხორციელებაში მათ თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა არა თქვან.

სწორედ ამიტომ პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პრინციპული, საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა. არც გაბედული კრიტიკა და თვითკრიტიკა აკლდა.

საანგარიშო მოხსენებაში პარტორგანიზაციის მდგომარეობა, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ტ. ჟიგუნმა კონკრეტული ფაქტებით ილაპარაკა კომუნისტ-პედაგოგების შემოქმედებითს აქტიურობაზე, კოლექტივში მათს ავანგარდულ როლზე, საანგარიშო პერიოდის მანძილზე გამოჩენილ საინტერესო წამოწყებებსა და თაოსნობებზე. კომუნისტები თვლიან, სკოლის საქმიანობის გარდაქმნა უპირველეს ყოვლისა იმას გულისხმობს, რომ ყოველმა პედაგოგმა, მომავალი თაობის აღმზრდელმა მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი საუკეთესო პროფესიული და ადამიანური თვისებები და შემდგომ ყოველივე ეს მოსწავლეთა სასარგებლოდ განვითარდეს. ეს კი ადვილი როდია, მით უმეტეს იმ კოლექტივში, სადაც ასზე მეტი პედაგოგია. ყოველი კომუნისტი თავის საპატიო მოვალეობად მიიჩნევს გაუფრთხილოს თანამოსაქმეთ მასუხისმგებლობის გრძნობა, გაუძლიერდეს მოზარდი თაობის აღზრდაზე ზრუნვა. ცუდად როდი იღვაწა პირველადმა პარტორგანიზაციამ, რომლის ღონისძიებებმაც უკეთ წარმართა სასკოლო მუშაობა. ეს ნათლად ვლინდება მრავალი ფაქტით, რომლებიც მოწმობს პარტიული გავლენის გაძლიერებას საგნების სწავლების ხარისხის ამაღლებაზე, დისციპლინის განმტკიცებაზე.

საანგარიშო პერიოდში მოეწყო სასწავლო კაბინეტების დათვალიერება, გაძლიერდა მუშაობა შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციისათვის საწარმოო პრაქტიკის ორგანიზების თაობაზე. სწორედ ამ დროს დაიღო ხელშეკრულება სკოლის შეფებთან — სოხუმის ტაქსმოტორების პარკისა და საგალანტერეო ფაბრიკის კოლექტივებთან. მოსწავლეებს ბევრი რამ მისცა კომუნისტების მიერ შემუშავებულმა საუბრებისა და ლექციების თემატიკამ, რომლებსაც მასწავლებლები აწყობდნენ მოკავშირეებზე და სხვა საათებშიც. ეს თვალსაჩინო ღია გაკვეთილები ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიც არის კომუნისტური პარტიის ბრძოლა ხალხის ბედნიერებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, პარტიის ზრუნვა ბავშვებზე, მშრომელი ადამიანი ქვეყნის პატრონია და სხვა.

ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ მრავალეროვანი სკოლის მოსწავლეთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს.

კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს პარტიულ დავალებათა შესრულების დროს კომუნისტების პასუხისმგებლობას. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ვრცლად ილაპარაკეს იმაზე, თუ რას აკეთებენ კომუნისტები საზოგადოებრივსასარგებლო შრომაში მოზარდთა ჩაბმისათვის, როგორ ეწევიან საბჭოური ცხოვრების პროპაგანდას. სკოლაში ყოველწლიურად როგორც დღესასწაული, ისე ეწყობა ლენინური შაბათობის დღე. გაკეთებულიც ცოტა რამდენია. წლეულს სკოლის ტერიტორიაზე და ძერჟინსკის ქუჩაზე დარგულია 2 ათასზე მეტი მცენარე, ჩაბარებულია 8,5 ტონა მაკულატურა, შეგროვილია დიდძალი ჯართი, სანმეშუშო წესრიგშია სკოლის ეზო და ახლომახლო ტერიტორია. სკოლაში დაინერგა რეფ წოდებული „ძნელი“ ბავშვები. კრებაზე გამოსულმა კომუნისტმა პედაგოგებმა ტ. მალკომ, რ. ლოგუამ, ა. კვარჭიამ, ა. ლუხტაიმ, ლ. ლურსმანაშვილმ, მ. კვაშილავამ, სკოლის დირექტორმა გ. ტორჩუამ ილაპარაკეს იმაზე, რომ საჭიროა სასკოლო რეფორმის ყოველი პუნქტის რეალიზაციის საქმეში გაძლიერდეს პარტიული გავლენა.

კრების არც ერთი მონაწილე არ დარჩენილა გულგრილი გამოცდილი პედაგოგის, პენსიონერ ლარისა მეშერიაკოვას გამოსვლით, რომელმაც აღნიშნა, რომ ჯოხუშში ბევრი რამ კეთდება ქალაქის სოციალურ-კონომიკური და კულტურული განვითარებისათვის, მაგრამ საჭილაო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობას ზოგჯერ ავიწყდებათ ახალგაზრდობის საჭიროებები. ლენინგორის ტაფობის მშვიდროდ დასახლებულ მიკრორაიონში, სადაც დიდძალი ბავშვი იყრის თავს, თითქმის არ არის სათამაშო და სპორტული მოედნები, არც სპეციალური კაფეა, არც კინოთეატრი. სოვიეროვეა ბიბლიოთეკის პატარა სამკითხველო დარბაზშიც. მართალია, არის რამდენიმე საფეხბურთო მოედანი, მაგრამ ისინი მოუწყობელია, ხოლო ატრაქციონი „მხიარული გორაკები“ უღიმღამოდ, უფეხურულად გამოიყურება. მიკრორაიონის მეორე კვარტალის №17 სახლის პირველ სართულზე ერთ დროს მოქმედებდა მოზარდთა კლუბი „ახალგაზრდობა“. მაგრამ, სამწუხაროდ, იქიდან ბავშვები თანდათანობით გამოიყვანეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოლოს კლუბის შენობა გადატიხრეს, ოთახებად გადაკეთეს და ახლომბინადრენი ჩასახლეს.

კრებამ კომუნისტების ყურადღება მიაქცია შიდასასკოლო მუშაობის გაძლიერების, სასკოლო რეფორმის გატარების პრაქტიკულ ღონისძიებებს. დროის მოთხოვნები — დაჩქარება და გარდაქმნა პედაგოგებისაგან მოითხოვს შრომის კულტურის ამაღლებასა და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. პედაგოგებმა პირადი მაგალითით უნდა აღზარდონ მოსწავლეები, ჩაუნერგონ მათ მაღალი კულტურა და შეგნება. მაშინ ღირსეულად წარმართება მოსწავლეთა შრომითი და ინტერნაციონალური აღზრდა. მხოლოდ ამ დროს შეიძლება იმ პროცესის სათანადო მართვა, რომელსაც სწავლა-აღზრდა ჰქვია. პედაგოგიური კოლექტივის, პარტიული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს ყოველი გაკვეთილი. მშობლებთან მჭიდრო კონტაქტებიც მნიშვნელოვანი რგოლია ამ საქმეში. ამიტომაც საჭიროა აღმზრდელობითს პროცესში ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოძებნა, როგორც ეს ქნეს, მაგალითად, თბილისელებმა და ზესტაფონელებმა, რომლებმაც ზოგიერთ სკოლაში მშობელთა საზოგადოებები შექმნეს. მოსწავლეთა შრომითი და ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერებისათვის საჭიროა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების უფრო ქმედითი დახმარებაც.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი რ. ბუთბა.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გულის კარნახით

საქართველოს წარმომადგენლები ყამირზე



დამთავრდა პურის მკა ჩრდილოეთ აზიაზეთის ოლქის ლენინის რაიონის მეურნეობებში. მინდვრიდან კალოზე ბოლო რეისები შეასრულეს საქართველოდან ჩამოსულმა მძღოლებმა.

რაიონის ხუთ მეურნეობაში — ილიჩის სახელობის, „ალმაათის“, „ამანგელდის“, „ზარენინისა“ და „ობრაზცოვის“ საბჭოთა მეურნეობებში 200-ზე მეტი ავტომობილი მუშაობს საქართველოდან.

რაიონული შტაბის შემადგენლობაში არიან პროფორგი გურამ ხუხუნაშვილი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ჯემალ ფოფხაძე, ექიმი ავთანდილ ღიბრაძე, ქვეგანაყოფის კომსორგი რამაზ ტურაშვილი.

საქართველოს ავტომობილებმა აქ 100 ათასამდე ტონა სასოფლო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდეს. მოსავლის აღებისას ჩინებული მუშაობისათვის 20-ზე მეტი მძღოლი დაჯილდოდა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სპატიო სიგელებით. განსაკუთრებით კარგ მაჩვენებელს მიაღწიეს თბილისელმა შოფრებმა გივი კალმახელიძემ, ჯუმბერ ზურაბიშვილმა, გიორგი ხიდაშელმა, ისიდორე ბერიძემ და ფრიდონ ჯაბაურმა.

კარგად იმუშავეს მარნეულელმა მძღოლებმა. №2681 კოლონის 40 ავტომანქანა მიმაგრებული იყო ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაზე, რომელიც მიწათმოქმედების სანმეშუშო კულტურის მეურნეობაა. მძღოლები პირველი ღღიდანვე აქტიურად ჩაებნენ მუშაობაში. მათ მინდვრებიდან გამოჰქონდათ საკვები მასა, ყარტოფილი, ჭარხალი. მაგრამ ძირითადი ყურადღება დაეთმო პურს. 13 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული — რეკორდული მაჩვენებელი მთელი რაიონის მასშტაბით — მიიტანეს მათ კალოებზე და ელევატორში.

კოლონას ჯამილ ყარაევი მეთაურობს. აი, უკვე თხუთმეტი წელია, რაც ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სისტემაში მუშაობს. აქ ჯანელო მან გზა №2664 ავტოკოლონის მერე-მონტიდან მთავარ ინჟინრამდე. ხოლო როცა ორი წლის წინ მარნეულში გადაწყდა ახალი, №2681 ავტოკოლონის შექმნა, მის უფროსად ჯ. ყარაევი დანიშნეს. ახლა ეს დიდი საწარმოა, სადაც 180 ავტომობილია. როცა გიგო, ჩემი ავტოკოლონის მძღოლეს ყამირზე გზავნიანო, ჯ. ყარაევმა მათთან ერთად გამგზავრება გადაწყვიტა.

— ბიჭებს საბრძოლო განწყობილება აქვთ, — ამბობს იგი. — მუხლჩაუხრელად შრომობენ.

ტვირთზიდვის სწორ ორგანიზაციას უწყობს ხელს დისპეტჩერ რუსტამ ნაბიევის მუშაობა. მერემონტე ოსტატის ჰენრიხ აკოფჯანიანის გარჯით მიაღწიეს იმას, რომ ტექნიკის მზაობის კოეფიციენტი მუდმივად უახლოვდება ას პროცენტს. ყოველი მანქანა დღე-ღამეში 8-9 რეისს ასრულებდა მინდვრიდან კალოზე ან დაახლოებით ხუთ რეისს — საბჭოთა მეურნეობიდან ორმოცი კილომეტრით დაშორებულ ელევატორამდე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბრიგადა, რომელსაც ახალგაზრდა მძღოლი ყალანდარ ასკეროვი ხელმძღვანეობს. ამ ქვეგანაყოფის თორმეტივე მძღოლი კომკავშირელია. ისინი მუშაობაში ტოლს არ უდებენ გამოცდილ ამხანაგებს. დღე არ ყოფილა, რომ კომკავშირულ ბრიგადას დავალება არ შეესრულებინოს.

ივანენკა, ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქი
დ. ბერძენიშვილი,
ი. ნიკიფოროვი.
საქინფორმის სპეც. კორ.

სურათებზე: სოხუმელი მძღოლი ლეონიდე ოტარბა ყოველდღიურად 14 რეისს ასრულებს; ქართველ მეყამირეთა დაჯილდოება ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშით.

ვ. ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მსოფლიო იმედს ამყარებს

ნიუ-იორკი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მიესალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის შეხვედრას რეიკიავიკში, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი განვითარების უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება — განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ამ ქვეყნის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გ. ოტმა. გენერალური ასამბლეის მეორე კომიტეტში გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ მსოფლიო ამ შეხვედრისაგან მოელის კონსტრუქციულ დიალოგს, რომლის მიზანია კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების საქმეში.

მადრიდი. ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარე ფელიპე გონსალესმა საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა „პოზიტიურად“ დაახასიათა. აქ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა შეხვედრა „ხელს უწყობს დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის კლიმატს“.

მეხიკო. შეხვედრა ისლანდიის დედაქალაქში დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია განიარაღების დარგში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მორიგებათა მიღწევის გზაზე, აღნიშნა გაზეთ „დიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში გაწიარაღების კონფერენციაზე მექსიკის წარმომადგენელმა, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატმა ა. გარსია რობლესმა. მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობა იმედოვნებს, რომ ამ დიალოგს კონკრეტული შედეგები მოჰყვება, თქვა მან.

ბონი. საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა

გამოხმაურებანი რეიკიავიკის შეხვედრის გამო

გადამწყვეტი ნიშანსვეტია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზაზე, განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფ. ოსტმა. პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან თქვა, რომ კანცლერმა ჰ. კოლმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს აცნობა, თუ რა იმედებს ამყარებს ბონი ისლანდიაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრაზე. ისინი უწინარეს ყოვლისა ეხება ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების შემცირების პრობლემას, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიალოგის განვითარების პერსპექტივებს.

კოლომბო. პლანეტის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის რეიკიავიკის შეხვედრა პოზიტიურ ნაბიჯად მიაჩნია ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის გზების ძიებაში, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს შრი ლანკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა კ. პ. სილვამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის უკანასკნელმა ინიციატივებმა, უწინარეს ყოვლისა ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმის განგრძობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ შეხვედრის მომზადებისათვის საუკეთესო პირობების შექმნას. იმედი გვაქვს, რომ იგი ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასაც, განაცხადა კ. პ. სილვამ.

ლუანდა. პლანეტის ხალხები მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის შეხვედრას უკავშირებენ პროგრესის იმედებს თანამედროვეობის იმ მთავარი პრობლემის გადაწყვეტაში, რომ არ დაუშვან თერმობირთვული ომის გაჩაღება, განაცხადა აქ ვიზიტად მყოფმა ინდოეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ე. ფალეირომ. მსოფლიო დიდხანს იყო იმის მოწმე, თუ როგორ არ სურდა ამერიკის შეერთებულ შტატებს განეხორციელებინა კონკრეტული ღონისძიებანი სსრ კავშირის კონსტრუქციული ინიციატივების მხარდასაჭერად, რომელთა მიზანია საიმედო დაბრკოლება აღმართოს გამალებული შეიარაღების გზაზე, თქვა მან საკდესის კორესპონდენტთან საუბარში. გარკვეულ რწმენას გვმატებს ისიც, რომ, რაკი ვაშინგტონი დაეთანხმა ისლანდიის დედაქალაქში შეხვედრაზე, უკეთესობისაკენ შეიცვლება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა.

ბოგოტა. შეხვედრა საერთაშორისო ცხოვრების უდიდესი მოვლენაა, განაცხადა კოლუმბიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ ხ. მეხიამ. სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის კოლუმბიის ხალხები, თქვა მან, იმედოვნებენ, რომ ამ შეხვედრის დროს მიღწეული იქნება კონკრეტული მორიგებანი გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, ბირთვული არსენალების შემცირების პრობლემის გამო. ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯი იქნება ის, თუ ამერიკის შეერთებული შტატები შეუერთდება სსრ კავშირის მიერ გამოცხადებულ ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმს.

ლისაბონი. რეიკიავიკის შეხვედრა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გახდეს თერმობირთვული კატასტროფის საფრთხის შემცირების გზაზე, ნათქვამია პორტუგალიის მშვიდობისა და თანამშრომლობის საბჭოს განცხადებაში. დოკუმენტი შეიცავს მოწოდებას დაუყოვნებლივ შეწყდეს ბირთვული გამოცდები და არ დაუშვას, რომ კოსმოსი ბრძოლის ველად გადაიქცეს.

ამერიკელი მოღვაწეები მორატორიუმის შესახებ

ვაშინგტონი. **გამალებული შეიარაღება ვერ შეწყდება ჯადოსნური ჯოხის აქნევით, მაგრამ ამ მიმართულებით შეიძლება გადადგას ეფექტიანი ნაბიჯები, ნაბიჯები მშვიდობისა და უშიშროებისაკენ, იმისაკენ, რომ თავიდან ავიცილოთ ბირთვული იარაღის გამოყენება.** ეს განაცხადა **ამერიკელმა სენატორმა გერი ჰარტმა.** სენატში გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრის დღის წესრიგში შეიტანონ „ყველა (ბირთვული აფეთქების სამუდამო აკრძალვის“ საკითხი. სენატორმა მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატების ადმინისტრაციას დაუთანხმდეს ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმის შემოღებას. „დროა გავარკვიოთ, თუ ვინ არის სერიოზულად განწყობილი გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შემართ და ვინ — არა“, აღნიშნა გ. ჰარტმა.

ამერიკელთა უმრავლესობა ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვას მოითხოვს, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, გონივრული ბირთვულ პოლიტიკის მომხრე კომიტეტმა. ამას მოწმობს, ბაზგასმულია კომიტეტის განცხადებაში, კვლევითი ორგანიზაცია „ოპინიონ რისერჩ კორპორეიშნის“ მიერ მთელ ქვეყანაში ახლახან მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები: მის მონაწილეთა 56 პროცენტმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ შეერთებული შტატების მიერ ბირთვული გამოცდების შეწყვეტის იდეას.

◆ საბერძნეთი

საშიში ინციდენტი

ათენი. **ამერიკელმა სამხედრო მფრინავმა უხეშად დაარღვია ფრენის უშიშროების ნორმები, რამაც კინაღამ შეიწირა საბერძნეთის ავიაკომპანიის „ოლიმპიკ ეირუეიზის“ სამგზავრო ლაინერი.** რადიოლოკაციური სისტემით აღჭურვილი ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი „ჰოკაი“, რომელიც ნატოს მანევრებში „დისპლეი დეტერმინეიშნში“ მონაწილეობდა, მკვეთრად ასცდა კურსს და სამოქალაქო ავიაციის ფრენის ზონაში მოხვდა. შემდეგ იგი ს

ახალი საქართველოს კარიბჭესთან

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ალექსანდრე ჭავჭავაძე ყველაზე კოლორიტული ფიგურა იყო. მისი ლექსები მთელმა საქართველომ იცოდა ზეპირად და ბესიკის ლექსების მსგავსად სიმღერებად იყო ქცეული. მას და მთელ მის ოჯახს თითქოს ბედმა არგუნა ყოფილიყო უშუალო ასპარეზი მთელი იმ დრამისა, რომელიც გათამაშდა XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში. ახალ ვითარებასთან შეგუების ეს პროცესი ძალზე მტკივნეული აღმოჩნდა და მან გარკვეულად განსაზღვრა კიდეც დიდი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება.

ბავშვობა პოეტმა სასახლეში ერეკლე II-ისა და მამაცი ბატონიშვილების გარემოში გაატარა, ხოლო სიჭაბუისას იმ ლაშქარში იბრძოდა, რომელიც საფრანგეთში ნაპოლეონ ბონაპარტესთან პირისპირ იდგა. გასაგებია, თუ რა საფასელს მიაწვდიდა ასეთი სინამდვილე მის რანდულ სულს. იგი მამაცი მხედარი და ჩინებული სტრატეგი იყო.

თავადაც სახელმოხვეჭილი მხედართმთავარი, კავკასიის ჯარების მთავარსარდალი გრაფი პასკევიჩი აღტაცებული იყო მის მიერ მოწყობილი სამხედრო ოპერაციებით ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ, ხოლო ეპითეტი „ბაიათზეთის გმირი“ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელს სამუდამოდ შეესისხლხორცა.

როცა ჩვენში ევროპული ტიპის გარდაქმნები დაიწყო, მან სამოქალაქო დარგშიც შეიტანა თავისი წვლილი. ცნობილია, რომ იგი წლების მანძილზე იყო მთავარმართებლობის საბჭოს წევრი და ერთ დროს პრაქტიკულადაც უმღვნებოდა კავკასიის საფოსტო ნაწილს.

გაბედული აზრებით, სრულიად ახლებური საკითხების დაყენებით გამოირჩევა და დღესაც დიდ ინტერესს იწვევს ალექსანდრე ჭავჭავაძის მოხსენებითი ბარათი იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი: „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“. გარდა იმისა, რომ ამ ნარკვევში

ალექსანდრე ჭავჭავაძე

ტელმანი ჰამბურგის ბარიკადებზე

ჭასული კვირაში მოსკოვში გაიხსნა გერმანიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, გერმანელი ხალხის ერთგული შვილის ერნსტ ტელმანის ძეგლი, რამაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ამ კაცის ცხოვრება ლეგენდად იქცა. დღეს გვინდა გიამბოთ გერმანელი პროლეტარიატის ბელადის რევოლუციური საბრძოლო საქმიანობის საბჭოთა მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილი ერთი ეპიზოდი — მისი მონაწილეობა ჰამბურგის 1923 წლის აჯანყებაში. იმ დღეებში ჰამბურგის ბარიკადებზე ტელმანის მხარდამხარ იბრძოდა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე — დავით ვლადიმერის ძე ლომაძე. იგი შარშანდელი წლის მიწურულს გარდაიცვალა. ეს ნაკვეთი მის ნათელ ხსოვნას ეძღვნება.

• • •

დავით ლომაძე 1905 წელს ჭიათურაში ჟანდარმების მიერ მოკლული ქართველი ბოლშევიკის შვილია. იმისათვის, რომ მხარში შესდგომოდა დაობლებულ ოჯახს, იგი შინამოსამსახურედ დაუდგა მანგანუმის მაღაროს მმართველს შტაიგერს. ჭიათურის მაღაროების მეტი ნაწილი გერმანულ კომპანიებს ეკუთვნოდათ. შტაიგერის ოჯახში პატარა დათიკომ, რომელსაც ენების ნიჭი აღმოაჩნდა, კარგად ისწავლა გერმანული ლაპარაკი. თითქმის ოცი წლის შემდეგ ამან დიდი როლი შეასრულა მის ბედში. ამ დროისათვის მის ბიოგრაფიაში უკვე იყო იატაკქვეშეთიც, საჩხერის აჯანყებაში მონაწილეობაც, ცხენოსანთა რაზმსაც მეთაურობდა სამოქალაქო ომში. 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, ჭიათურელმა კომუნისტებმა იგი პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს. იმავე წლის შემოდგომაზე იგი სასწავლებლად წავიდა მოსკოვში, სადაც წლად ხვდა ბედნიერება 29 ოქტომბერს კავშირების სახლში მოესმინა ვ. ი. ლენინისათვის, რომელმაც გააკეთა მოხსენება „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ“.

სწავლის წლებში დავით ლომაძემ უურადღება მიიპყრო თავისი მეცნიერული ნიჭით. და აი, გაითვალისწინეს რა, რომ გერმანული იცოდა, იგი სწავლის გასაგრძელებლად ვენაში გაგზავნეს. საბჭოეთს ძალზე სჭირდებოდა წიგნიერი და საქმის ერთგული სპეციალისტები.

ვენაში იგი მალე ჩაება მჩქეფარე სტუდენტურ ცხოვრებაში, შევიდა ავსტრიის კომპარტიაში. იგი ერთ-ერთი მუშათა რაიონის — პრატერის პარტიული ორგანიზაციის მდივნადაც კი აირჩიეს. ამ ხანაგებმა იცოდნენ მისი საბრძოლო ბიოგრაფია, ხშირად უამბობდა იმ რევოლუციურ მოვლენებზე, რომლებშიც იმდენად აქტიურად მონაწილეობდა, რომ ქართველმა მენშევიკებმა ორჯერ მიუსაჯეს დახვრეტა.

გამოცდისათვის ემზადებოდა, როცა თანაპარტიელმა ამხანაგებმა ბერლინიდან თხოვნა გადასცეს.

გერმანიაში რევოლუცია მწიფდებოდა და ყველას, ვისაც შეიარაღებული ბრძოლა გამოცდილება ქონდა, დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო. ავსტრიელ კომუნისტთა ჯგუფთან ერთად ლომაძე ბერლინს გაემგზავრა. რევოლუციური სიტუაციის მიუხედავად, რომელიც 1923 წლის შემოდგომაზე შეიქმნა გერმანიაში, აჯანყება ვერ მოხერხდა. საბედისწერო როლი შეასრულა სოციალ-დემოკრატთა ღალატმა, უფრო მეტად კი იმან, რომ კომუნისტური პარტიის სათავეში ოპორტუნისტები აღმოჩნდნენ. და მუშებმა მხოლოდ ერთ ქალაქში შეძლეს შეიარაღებული გამოსვლის მოწყობა. ეს იყო ჰამბურგი — გერმანელი პროლეტარიატის ბურჯი, გერმანიის მნიშვნელობით მეორე სამრეწველო ცენტრი და კონტინენტის უდიდესი ნავსადგური. ჰამბურგის პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც თავის რიგებში 18 ათას კაცს აერთიანებდა, სათავეში ედგა ერნსტ ტელმანი — ტედი, როგორც მუშები ეძახდნენ.

ლომაძემ ტელმანი ბერლინში გაიცნო, როცა ცენტრალურ კომიტეტში შეიარაღებული აჯანყების საკითხზე ბჭობდნენ. ტელმანმა წინადადება მისცა გაჰყოლოდა ჰამბურგში. ახალგაზრდა ქართველი მოეწონა ვაჟკაცობით, სიდარბაისლით — ყოველივე ამის უკან დიდი გამოცდილება და სკოლა იგრძნობოდა.

21 ოქტომბერს, ჰამბურგში ტელმანის ჩასვლის დღეს, 40 ათასი მუშა გაიფიცა, მეორე დღეს კი საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა. მეწარმეებმა პასუხად ლოკაუტს მიმართეს. ჰამბურგი დენთის კასრად გადაიქცა. თითქოს ჰაერიც კი დაიმუხტა. ქუჩებში მრავალათასიანი დემონსტრაციები გაიმართა, ქალაქი ბობოქრობდა.

22 ოქტომბერს საღამოს ტელმანის თავმჯდომარეობით გაიმართა ზღვისპირეთის საოლქო კომიტეტის სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე ჰამბურგის რევოლუციური კომიტეტის წევრები და ქალაქის რაიონების და გარეუბნების სამხედრო ხელმძღვანელები. აქ მიიღეს აჯანყების საბოლოო გეგმა. განხილვის დროს ტელმანმა, ლომაძისათვის მოულოდნელად, მას სიტყვა მისცა და თქვა: „ეს ამხანაგი რუსეთიდან ჩამოვიდა. ჩვენთან ერთად იქნება“.

დავითი წამოდგა, ძალზე ღელავდა, ერთი წუთით ჩაფიქრდა; თითქოს სიტყვებს ეძებსო. მისი გამოსვლა ძალიან მოკლე იყო. მას ჩინებულად ესმოდა, რომ აქ არავის სჭირდებოდა არც აგიტაცია და არც დარწმუნება. საჭირო იყო გასაგები, გულთბილი სიტყვები და ითოვა კიდეც: „თუ ჩვენ ხვალ ბარიკადებზე დავიხოცებით, ხალხი არ დაგვივწყებს. მაგრამ თუ კურდღლებივით გავიქცევით, არავინ აღარასოდეს არაფერს დაგვიჯერებს“.

ბარიკადების მეთაურებმა მხარი დაუჭირეს აჯანყებას. ტელმანმა შეაჯამა: „ვისაც ეშინია, შინ დარჩეს. ვინც მზად არის სიკვდილისათვის, ბარიკადებზე გამოვდეს“.

აჯანყებულებს სულ 19 შაშხანა და 27 დამბაჩა ჰქონდათ, ამიტომ აჯანყების გეგმა უწონარეს ყოვლისა ითვალისწინებდა პოლიციის უბნებზე თავდასხმას და იარაღის შოვნას. 1923 წლის 22 ოქტომბრის დილის ხუთ საათზე აჯანყება დაიწყო. ლომაძეს დაევალა ერთ-ერთი ბარიკადისთვის ემეთაურა ბარმბეკში — მუშათა გარეუბანში. პოლიციის უბანზე თავდასხმა წარმატებით დამთავრდა. ლომაძე სამ რაზმელთან ერთად, თითქოს აქ არაფერიაო, მორიგეს მიუახლოვდა და ჰკითხა: ნავსადგურში როგორ უნდა გავიდეთო. მან განმარტება დაუწყო. ამ დროს ძირს ცეცეს და შაშხანა წაართვეს. დანარჩენ პოლიციელებს, ძილით გაოგნებულებს, არც კი უცდიათ წინააღმდეგობის გაწევა.

ასევე წარმატებით დამთავრდა თავდასხმები დანარჩენ ჩვიდმეტ უბანზე. დილის ექვსი საათისთვის ყველა რაზმელი ნადავლით დაბრუნდა თავმოყრის პუნქტებში, შვიდ საათზე კი აჯანყების შტაბმა ბრძანება გასცა აეგოთ ბარიკადები, რომლებიც რამდენიმე წუთში აღიმართა.

სამ დღეს გაგრძელდა ჰამბურგელ მუშათა უთანასწორო შერკინება მრავალრიცხოვან და კარგად შეიარაღებულ მოწინააღმდეგესთან. სხვა ქალაქებიდან ჩამოყვანილი ექვსი ათასი პოლიციელი, საზღვაო ქვეითი ჯარების ნაწილი, კავალერისტები და ჯავშნიანი მანქანები — ყველაფერი ეს გამოიყენეს აჯანყებულთა წინააღმდეგ. „ბარმბეკის ხელში ჩაგდების ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა — აქაიე გაფანტული, უჩინარი მეთოფეენი მშვიდად ირჩევდნენ სამიზნეს მეორე სართულის რომელიმე ფანჯრიდან, ქვემოთ კი პოლიციელთა უმწეო ბრბო ცეცხლის ნიაღვარს ატეხდა ცარიელ ბარიკადებს“, — გვიამბობს თავის რეპორტაჟებში ბრძოლების თვითმხილველი, „იზვესტიის“ სპეციალური კორესპონდენტი ლეგენდარული ლარისა რაისნერი. „სხვენის ბარიკადის“ ტაქტიკა ახალი სტყვა იყო პროლეტარულ ომში, და აჯანყების ჩახშობამდე შემდეგ გერმანიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების პოლიციელები გულმოდგინედ სწავლობდნენ ამ სიახლეს.

იარაღი არ ჰყოფნიდათ, და როცა რიგიერმე მებრძოლს ძირს დასცემდა მტრის ტყვია, მისი შაშხანა მაშინვე გადადიოდა ამხანაგის ხელში. დავითს ახსოვს, როგორ დაღონდნენ აჯანყებულნი, როცა მიიღეს შტაბის ბრძანება მიეტოვებინათ ბარიკადები. ეს ტელმანმა 24 ოქტომბერს ღამით გადაწყვიტა, როცა ხათელი გახდა, რომ მთელი ქვეყნისაგან იზოლირებულად ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა. აჯანყებულთ ებრძანათ დამბაჩები თან წაეღოთ, შაშხანები კი მოესპონთ. და აი, ერთ ჭაბუკს არა და არ სურს შეელოოს შაშხანას. ვერაფრით ვერ გატეხეს მისი ჯიუტობა. ბოლოს მან მოკლულ მებრძოლზე მიუთითა: „ეს ჩემი მეგობარია. ერთად გავიზარდეთ. ერთად წამოვედით ბარიკადებზე და წილი ვყარეთ, ვის ერგებოდა იარაღი. ხომ გესმით, რა ძვირად დამიჯდა ეს შაშხანა“.

ამ დროს ტელმანიც გამოჩნდა. მთელი ამ დღეების მანძილზე იგი ბარიკადებს შორის, ტყვიის წვიმაში ველოსიპედით დაქროდა და გაოცებას იწვევდა თავისი გულადობით. ახლა იგი უსმენდა ჭაბუკს და თვალზე ცრემლი მოერია.

„ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო, როცა ტელმანის თვალებში ცრემლი შევნიშნე, — აგონდება დავით ლომაძეს.—ტელმანმა ჭაბუკს უფლება მისცა თან წაეღო შაშხანა...“.

მუშები უმაგალითოდ შეუპოვრად იბრძოდნენ. არავინ არ ელოდა დანდობას. ლომაძემ მიიმბო ერთი ეპიზოდი, რომელიც სიტყვა-სიტყვით ჩავიწერე.

— დილით ხანში შესული კაცი მომიახლოდა და მითხრა: „შენ გინახავს ლენინი?“. „დიახ“. მან არაფერი მიპასუხა და გამეცალა. ეს საეჭვოდ მომეჩვენა, დადავწყვიტე, ალბათ პროვოკატორიაა მეთქი, და ის იყო უნდა მესროლა, რომ ახალგაზრდა მუშამ შეგვაჭერა: „მე ვიცნობ მაგ კაცს. ჩვენია“.

შუადღისას იარაღის ქარხნიდან ამხანაგები მოვიდნენ და ხელყუმბარები მოგვიტანეს. მათთან ერთად იყო ისიც, დილით რომ ლენინზე მეკითხებოდა. ხელყუმბარები დატოვეს და ყველანი წავიდნენ, გარდა ამ კაცისა და კიდევ სამი ახალგაზრდისა. ხანდაზმული მომიახლოდა და მითხრა: „ტელმანმა ნება მოგვცა თქვენთან ერთად დავრჩეთ. ასე გადავწყვიტეთ: თუ სიკვდილი გვიწერია, ბარემ იმ კაცის გვედრით დავიხოცოთ, რომელსაც ლენინი უნახავს“.

ისინი ბოლომდე იბრძოდნენ და ოთხივენი დაიღუპნენ. ღამით ყრუ შესახვევებით და გასასვლელი ეზოებით ტოვებდნენ ბარიკადებს უკანასკნელი მებრძოლები. მათ შორის იყო ლომაძეც. იგი სასწაულით დაუძვრა პატრულს. რამდენიმე დღე დასჭირდა, რომ ფარულად გასულიყო ავსტრიის საზღვრამდე.

მთელი მსოფლიოს მუშებმა პროლეტარული სოლიდარობა გამოუცხადეს რევოლუციურ ჰამბურგს. „1923 წლის შობისათვის ბევრი ქვეყნის ქალები საცვლებსა და ტანსაცმელს უყრაგდნენ დაღუპულთა თუ გერმანიიდან გამოქცეულთა შვილებს. ერთხელ შევიტყვეთ: ორმოცდაათი. ბავშვი ჰოლანდიაში გაიგზავრება... მალე სხვა ამბავიც გვაუწყეს: ბავშვების დიდი ჯგუფი საბჭოთა კავშირში იგზავნება! ყმაწვილები თავიანთი ღარიბული ტანსაცმელით, უბარგოდ წავიდნენ. უკან კი ახალ ტანსაცმელში გამოწყობილნი, ჩემოდნებითა და ბოღჩებით დატვირთულნი ჩამოვიდნენ და ბევრმა საჩუქრებიც კი ჩამოუტანა და-ძმებს“, — ასე წერდა ირმა გაბელ-ტელმანი წიგნში „მოგონებანი მამაჩემზე“.

ფიულსბიუტელის სპატიმრობიდან კი, სადაც აჯანყების მონაწილნი ჩაამწყვდიეს, მათ შეძლეს გამოეგზავნათ წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ძვირფას შეფებს საბჭოთა კავშირში! მადლობას მოგახსენებთ ფულადი დახმარებისათვის. ყოველი თქვენი წერილი ჩვენთვის დიდი დღესასწაულია. თქვენი სიყვარული და მზრუნველობა ციხეში მძიმე ცხოვრებას გვიმსუბუქებს. ძვირფასო ამხანაგებო! თქვენ ჩვენი შთამაგონებელნი ხართ საერთაშორისო პროლეტარიატის საერთო საქმისათვის ბრძოლაში...“.

მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი გავიდა. გერმანელმა ამხანაგებმა მოძებნეს დავით ლომაძე და სოციალისტურ გერმანიაში მიიწვიეს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დიდად შეაფასა მისი მონაწილეობა გერმანელი ხალხის რევოლუციურ ბრძოლაში: ლომაძე დაჯილდოდა ვერცხლის ორდენით — „მამულის წინაშე დამსახურებისათვის“.

ვალერი ქაჯაია.

სურათზე: დავით ლომაძე და ერნსტ ტელმანის ახალი ირმა. (სურათი გადაღებულია 1970 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში).

მეოთხედი საუკუნის შემდეგ



გუშინ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას ესტუმრა ბულგარეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ივანე ფილიპოვი, რომელმაც ქალაქ სოფიაში მაია ჩიბურდანიძისა და ელენე ახმილოვსკაიას მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩის პირველი ნახევრის საუცხოოდ ორგანიზებისათვის დიდი მუშაობა გასწია. ამჯერად იგი საქართველოს ეწვია და ბორჯომში დაესწრო ამ მატჩის რამდენიმე პარტიას. ჩვენმა კორესპონდენტმა ისარგებლა შემთხვევით და ესაუბრა მას.

• • •

— ქართველი მოჭადრაკეებისა და სპეციალური ტურისტული ჯგუფების წევრთაგან შევიტყვეთ, რომ დიდად გარჯილხართ სოფიაში ამ მატჩის საუკეთესოდ მოწყობისათვის.

— სტუმარ-მასპინძლობის წესი და რიგი ქართველებს რომ საუცხოო გაქვთ, კარგად ვიცოდი. ეს ჯერ კიდევ ეოთხედი საუკუნის წინათ შევიგებინე, როცა თბილისს პირველად ვესტუმრე და ბევრი მეგობარიც შევიძინე. ცხადია, ეს კარგად მახსოვდა და მსურდა რამენაირად თავი არ შემერცხვინა. ახლა უკვე მეორედ მოვინახულე თქვენი და უკვე ჩემი თბილისიც. გამოცაცა თბილისს ძველი უბნების ახალმა იერსახემ.

— თქვენ ქართველი ტურისტებისათვის იმდენად საინტერესო კულტურული პროგრამა შეგიდგენიათ, რომ ლამის ვეღარც იცლიდნენ მაია ჩიბურდანიძისა და ელენე ახმილოვსკაიას მატჩის პარტიებზე დასასწრებლად...

— ეს ჩვენი მოვალეობა იყო, მაგრამ არ მეგულება თუნდაც ერთი ბულგარელი, რომ სამოყვროდ მოსული სტუმრისათვის სათანადო მასპინძლობა არ გაეწია. კარგად ვიცი ისიც, რომ ქართველები ძველ ძეგლებს სათუთად უვლით. ამ რამდენიმე დღის წინ გარეთ დავათვალიერე. იქაურ ამბანაგებს საჩუქრად ერთი ალბომი ვიდაეციი. ამ ალბომში არის სურათები, რომლებიც ქალაქ ვარნა-მასპინძლად მდებარე ბერეადის მონასტერზე მოგვითხრობს. იგი განსაკუთრებით ამბობ-ამბობ ფერადებში, რომ ამ ნაგებობას ეროვნული ფერადოვნებით ... ეროვნული ფერადოვნებით ... ეროვნული ფერადოვნებით ...